სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81988696317825

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250030882

რეგისტრაციის თარიღი

14.01.2025 წ

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ1
ტელეფონი: 2 29-40-92

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდახუთი წლის თოთხმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს მაია ბრეგვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაზალეთის ქ.1, მომმართა: **შპს ჰილსაიდ დეველოპმენტი-ს (ს/კ 404678176) დირექტორმა გიორგი გოგიჩაიშვილმა** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23076705, მომზადების თარიღი: 31/05/2023). მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა და დაამოწმოს სანოტარო წესით მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი გოგიჩაიშვილმა (დაბ. 09.01.1994 საქართველო, თბილისი, რეგ. მისამართზე: თბილისი ლარსის ქ. №1 ბ. 4, პირადი №01017041929)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელის ტექსტიც მოიწონა **მან** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდახუთი წლის თოთხმეტ იანვარს მე, შპს ჰილსაიდ დეველოპმენტი-ს (ს/კ 404678176) დირექტორმა გიორგი გოგიჩაიშვილი (დაბ. 09.01.1994 საქართველო, თბილისი, რეგ. მისამართზე: თბილისი ლარსის ქ. №1 ბ. 4, პირადი №01017041929) წინამდებარე მინდობილობით **ნიკოლოზ ჩხაიძეს (დაბ. 16.07.1974 საქართველო, თბილისი, პირადი №01024024996)** ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია იყო მიმნდობის წარმომადგენელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, კერძო და საჯარო სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, საქართველოს გამგეობებში, მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, დეპარტამენტებში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა სსიპ-ში/სამსახურებში. მერიის იურიდიულ სამსახურებში, დაგეგმარებისა და ზედამხედველობის სამსახურში, მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური ინსპექციის სამსახურებში, მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საკრებულოში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტებში, თვითმართველობის ნებისმიერ ერთეულში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, საპროექტოში, წარადგინოს და/ან მიიღოს მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის სამსახურიდან, შეათანხმოს პროექტი და აიღოს შესაბამისი ნებართვა (ყველა სტადიის ჩათვლით), აწარმოოს მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საჭირო პროცედურები, წარადგინოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი (შეთანხმება, ნებართვა, ბრძანება და ა.შ.), შეცვალოს და/ან შეიტანოს კორექტირება პროექტში, გააგრძელოს ნებართვის ვადა, მიიღოს პროექტის ცვლილების, კორექტირების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ბრძანება, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს, ნებართვებს, თანხმობებს და ა.შ. აწარმოოს სამშენებლო, სარემონტო, საპროექტო სამუშაოები, გააკეთოს განაცხადი, აიღოს ნებისმიერი სახის ცნობა, დოკუმენტი, ასევე უკან გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტაცია, უფლებამოსილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tas.ge-ზე.

ელექტრონული ფორმით წარადგინოს საბუთები, მოახდინოს ელექტრონული დოკუმენტების ატვირთვა და ელექტრონული ხელმოწერა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს საბუთებში ხარვეზის გასწორება, ცვლილების შეტანა, განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) შეთანხმება, წითელი ხაზების კორექტირება, იყოს წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, რაიმე სახის ხარვეზის დადგენის შემთხვევაში შეასწოროს ხარვეზი, გადაიხადოს გადასახადები, შეკრიბოს, წარადგინოს და/ან მიიღოს (გამოითხოვოს, ჩაიბაროს) ყველა საჭირო დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია და ა.შ (მიიღოს

დოკუმენტაცია როგორც ელექტრონულად ასევე ხელზე), მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტებს მიმნდობის სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული დავალებების შესრულებასთან.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მაია ბრეგვაძის სანოტარო არქივში.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 01 (ერთი) წლის ვადით და ძალაშია 2026 წლის 14 იანვრის ჩათვლით, მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: 30.00 (ოცდაათი) ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი), თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, პლიუს: 5.00 (ხუთი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად ზემოაღნიშნული მთავრობის დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი).

შპს ჰილსაიდ დეველოპმენტი-ს (ს/კ 404678176) დირექტორი:

გიორგი გოგიჩაიშვილი

ნოტარიუსი: მაია ბრეგვაძე